საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/16

ქ. ბათუმი 04 აპრილი, 2017 წ

,,ბსუ-ს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით შესასრულებელი სამუშაოს, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისა და სამუშაო ჯგუფების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 9 ნოემბრის N01-08/68 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 56^1-56^6 მუხლების, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის 28 ოქტომბრის კორესპონდენციის (MES 81601292963) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით შესასრულებელი სამუშაოს, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისა და სამუშაო ჯგუფების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 9 ნოემბრის N01-08/68 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) ბრძანების დანართის გრაფაში ,,პასუხისმგებელი პირები და სამუშაო ჯგუფები" ნაცვლად ინგა შამილიშვილისა, მიეთითოს **რექტორის მოადგილე თამარ სირაძე,** ხოლო ნაცვლად ,,საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსის ნანა ყურშუბაძისა", მიეთითოს **,,სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი გიორგი თავამაიშვილი"**;

ბ) ბრძანების დანართის გრაფაში ,,ანგარიშის/პროექტის წარმოდგენა" თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 10 მაისი;

გ) ბრძანების დანართის გრაფაში ,,ანგარიშის/პროექტის განხილვა" თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 31 მაისი;

დ) ბრძანების დანართის გრაფაში ,,ანგარიშის/პროექტის განხილვა" თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 30 ივნისი.

2. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**